


**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომცემი მოსარეაბილირების მსოფლიო**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდა-თიან რაიონებში - 21-26, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი. ზვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს, ღამით, მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

### პირველი ნიუსი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტს, მალდივის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულა შაჰიდს შეხვდა. შალვა პაპუაშვილმა აბდულა შაჰიდის პრეზიდენტობის ვადაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიმართ საქართველოს მხარდაჭერა გამოხატა. პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოში გაეროს ოფისებთან ნაყოფიერი თანამშრომლობა მიმოიხილა და ხაზი გაესვა ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელობას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან საქართველოში, შტუბერტ ქნირთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა. მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-გერმანიის ურთიერთობებზე. მრავალი ღირებულებიანი ელჩის მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისთვის და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ქართული კომპანიებისთვის ევროკავშირის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვების ბაზარი გაიხსნა. ვიცე-პრემიერ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილის განცხადებით, წლის განმავლობაში, ევროკავშირში დაახლოებით 250 000-ზე მეტი საქარო შესყიდვები იქნება. ტრილიონი ევროს ღირებულების პროდუქციას იქნის, ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართულ კომპანიებს ამ ბაზარზე სრულფასოვანი წვდომის შესაძლებლობა გაუზიარდა. ეს გადაწყვეტილება საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების შედეგია, - განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ჭანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, განხილვის შემდეგ გადაწყდება, მისცემს თუ არა ჭანდაცვის უწყება ლიცენზიის უცხოელ ექიმებს მიხეილ სააკაშვილის მკურნალობის პროცესში ჩართვისთვის. როგორც მან აღნიშნა, არასწორია გავრცელებული ინფორმაცია, რომ უცხოელი ექიმების წვდომა აქამდე ლიცენზიის მიცემაზე უარს უთხრებს. მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი, გამოკვლევის მიზნით, დაახლოებით ორი თვეა კლინიკა „ვიცე-მედი“ დადევნებული.

მომავალი ია შვედიაში

## თორნიკე რიჟვაძე: ტურისტული და ეკონომიკური თვალსაზრისით ახალი ბულვარის მოწყობა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია

24 ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალი ბულვარი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ზოიძე, საქართველოს მუნიციპალური სერვისების განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი ცივაძე, სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. მათ ბულვარი დაათვალიერეს და აღვივებულ ჩატარებული სამუშაოებში შეაფასეს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თქმით, როგორც ტურისტული თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკურ ღირებულებას მნიშვნელოვანია ახალი რეკრეაციული, გასართობი და გამაჯანსაღებელი სივრცეების მოწყობა.

- თქვენ ხედავთ, რამდენი ადამიანი შეკრებილი ახალ ზღვისპირა პარკში. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით განხორციელდა „განახლებული რეგიონების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ტერიტორია აქ მცხოვრებლებსთვის და ტურისტებისთვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი გახდება. ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანია ამ ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა, ეს გაუხსნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ სივრცის შექმნაში, პირველ რიგში - ინფრასტრუქტურის სამინისტროს, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

- ახალი ბულვარი მდინარე აჭყვიდან მდინარე კინტიშამდე გაგრძელდა. მთელ სიგრძეზე აშენდა გამყოფი კედელი, ასევე 2,5 მეტრი სიგანის ველობილიკი და 4 მეტრი სიგანის



ადო ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ სივრცის შექმნაში, პირველ რიგში - ინფრასტრუქტურის სამინისტროს, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

## შეხვედრა - იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან

ერთ-ერთი ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს სანიმუშო დიპლომატიური ურთიერთობები აქვს, არის იაპონია, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მისი დამოუკიდებლობის დღიდანვე. ეს ურთიერთობა ხელმძღვანელობს საერთო ღირებულებებით, როგორცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. წელს იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 30 წელი შესრულდა.

აჭარაში სტუმრად მყოფ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს საქართველოში იმამურა აკირას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი შეხვდნენ. მხარეებს შორის საუბარი ეკონომიკური, სოფლის განვითარების და კულტურის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას შეეხო.

ჯაბა ფუტყარაძემ ელჩს აჭარის საინვესტიციო გარემო გააცნო, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებზე ისაუბრა. ზაზა შავაძემ ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის მიმართული ურთიერთთანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე, აჭარაში აგროსასურსათო სექტორში განხორციელებულ და წელს დაგეგმილი პროექტებზე გაამახვილა ყურადღება. მან



მადლობა გადაუხადა იაპონიის სახელმწიფოს და ბატონ ელჩს, ციტრუსის სანერგე მეურნეობის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვისა და მოდერნიზაციის მიმართულებით მხარდაჭერისთვის, ხაზგასმით აღნიშნა რეგიონში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილი და სამომავლოდ ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

შეხვედრაზე კულტურის მიმართულებით თანამშრომლობასა და პარასპორტის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს საქართველოში იმამურა აკირას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანიც შეხვდა.

საუბარი საქართველო-იაპონიას შორის არსებულ მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს შეეხო.

იაპონიის ელჩმა გამოხატა მზაობა, მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

ანბა ჩხიშვილი

## მინისტრმა დელაგაციას უმასპინძლა

## ზოლეთაქის მისია - ნიგნიკაჰის მხარდაჭერა

## გამოირჩა ერთი გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

რებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





# მინისტრმა დელეგაციას უმასპინძლა

ნათია იმედაიანი 27 48 93

**აჭარის განვითარების და სოციალური დეველოპმენტის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან ერთად ყირგიზეთისა და უზბეკეთის დელეგაციებს უმასპინძლა**

ნინო ნიჟარაძემ ჯანდაცვის სისტემებისა და ინფექციის კონტროლის სფეროს წარმომადგენლებს, აჭარაში ინფექციური დაავადებებისა და ტუბერკულოზის პროგრამის მიმდინარეობა, მიღწევები და გამოცდილება გააცნო.

2019 წლიდან აჭარაში ხორციელდება პროექტი - „ხელოვანი ტუბერკულოზის ინიციატივა აჭარაში“, რომლის ფარგლებში, მიმდინარეობს ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგი. პროექტის მიზანია რეგიონის მოსახლეობის ინფიცირების სტატუსის დადგენა, მიდევნება და დროული მკურნალობის ხელშეწყობა.

დედეგაციის საქართველოში ვიზიტი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის სასწავლო ტურის ფარგლებში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და გლობალური ფონდის ხელშეწყობით დაიგეგმა.



მა. ტურის მიზანი ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის გამოცდილების, მისი ორგანიზების და გლობალური ფონდის პროექტის დანერგვის შედეგების შესწავლა, ასევე უზბეკეთსა და ყირგიზეთთან ტუბერკულოზის პროგრამების კუთხ-

ით თანამშრომლობის გაძლიერება.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები ეწვევიან ტუბერკულოზის ცენტრს და ამბულატორიულ დაწესებულებაში გაეცნობიან სკრინინგის პროცესს.

## შაბათ-კვირის კრონიკა

„ბავშვებს უნდათ მშვიდობა“ - პროექტის ფარგლებში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი მეომრების შვილები ბათუმში იმყოფებიან. ვეროის მოედანზე მათ უკრაინის სოლიდარობის აქტივისტებმა უმასპინძლეს. მანამდე კი უკრაინელმა ბავშვებმა ბათუმში შინდისის გიმრების სკვერში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს, დაათვალიერეს აჭარის ისტორიული და კულტურული



ძეგლები, მათთვის გაიმართა შემეცნებითი გასართობი ღონისძიებებიც. პროექტის მიზანია, სომატი მოქმედებების ზონაში მცხოვრები უკრაინელი ბავშვების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. პროექტი საქველმოქმედო ფონდ „ალილო 2015“-ის ორგანიზებით იმართება. ამავე ფონდის ინიციატივით წელს საქართველოში 25-მდე უკრაინელი ბავშვი უკვე მერჯულ ჩამოიყვანეს.

„ნათობის გზა“ - ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც ძველი ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში გაიმართა. სამრეწველო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბათუმელი ფოტოგრაფის შაინანის მიერ გადაღებული ბათუმის ნათობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის ორიგინალი ფოტოები. ასევე წარმოდგენილია ქარხანაში დაცული ნათობის მრეწველობაში გამოყენებული დაზგა-დანადგარები.

ბათუმში, ქვიშის რაგბის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული ბათუმის „მეკობრეები“ გახდა. გუნდმა საფინალო ორთაბრძოლაში თურქეთის ნაკრებს სძლია და 3-2 დაამარცხა. ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის, 2-თურქეთიდან. გამარჯვებული გუნდები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ფესტივალი წელს პირველად გაიმართა და მისი მიზანი ქვიშის რაგბის განვითარებაა.

ქობულეთში, საფეხბურთო ჩემპიონატ „ბომბორას თასის“ გამარჯვებული მუნციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის გუნდი „იმედი“ გახდა. მათ საფინალო შეხვედრაში ამავე სკოლის გუნდი „მეტეხლები“ 8:0 დაამარცხეს. გამარჯვებულ გუნდს თასები და მედლები ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა გადასცეს. „ბომბორას თასი“ - ქობულეთში 24 საჯარო სკოლას შორის გაიმართა, რომელშიც 2012-2013 წლებში დაბადებული მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ჩემპიონატი მეხუთე წელს ითვლის, თუმცა მოსწავლეებს შორის შეჯიბრება პირველად ტარდება. მიზანი სპორტის ამ სახეობით დაინტერესებული ახალი თაობის აღმოჩენაა. საბოლოოდ გამარჯვებულ ათ საუკეთესო მოთამაშეს შეარჩევნეს, რომლებიც საფეხბურთო კლუბ „ბომბორას აკადემიაში“ ჩაირიცხებიან და უსასყიდლოდ ივარჯიშებენ.

მოამზადა ნათია იმედაიანი

# ეკონომიკური ძალადობის პრევენციისთვის

ნათია იმედაიანი 599 85 21 14

შუახვედში გაიმართა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „საორსა“ იყო. შეხვედრას შუახვედის მუნიციპალიტეტის რეგისტრაციის თანამდებობის რაინდო ლორთქიფანიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირ-



ველი მოადგილე გიორგი დავითაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები დაესწრნენ. პროექტის მიზანია იყო აჭარის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდა გოგონა-

თა და ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის პრევენცია. ასევე ისაუბრეს გენდერული სტერეოტიპების, სტერეოტიპების ხელშეწყობის ფაქტორების, ოჯახში ძალადობისა და ძალადობის ფორმების შესახებ. შეხვედრას უძღვებოდნენ „საორსას“ დამფუძნებელი ლია ფუტყარაძე და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, იურისტი, სპეციალიზებული ადვოკატი სისხლის სამართლისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ანა თავხელიძე.

ჩვენი შემდეგი შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა. ვმოზაურობთ საინფორმაციო კვირეულის ფარგლებში და აღმინებებს ვუზიარებთ ცოდნას ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ, - გვითხრა ლია ფუტყარაძემ, - საინფორმაციო შეხვედრას უძღვებოდით მე და ანა თავხელიძე. საინფორმაციო კვირეული ტარდება პროექტის „აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა გოგონათა და ქალთა უფლებადამცველების პროფესიული გადამზადება“ ფარგლებში.

# თორნიკე რიჟვაძე: ტურისტული და ეკონომიკური თვალსაზრისით ახალი ბულვარის მოწყობა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია

**პირველი გვერდიდან**

- აღნიშნულ ტერიტორიაზე არაფერი იყო, იყო მხოლოდ პლაჟი, რომელსაც მოსახლეობა ვერ იყენებდა. მთლიანად მოხდა რეაბილიტაცია მდინარე აჭყვიდან მდინარე კინტრისამდე არსებული ერთკილომეტრიანი მონაკვეთის, სადაც საფეხმავლო და ველობილიკები, საბავშვო ატრაქციონები მოეწყო, დაიდგა მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები. მინდა გითხრათ, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით, აღნიშნული ბულვარი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ღამით ტერიტორია მთლიანად განათებულია. ბულვარი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ ნაპირსამაგრი კუთხით ყველა ნაპირი კვლევა ჩატარებულია. ამდენად, ბულვარი, შეძლებისდაგვარად, ნებისმიერი დელეგაციის დატოვებისთვის, - გვითხრა გიორგი ცივაძემ.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქობულეთში სანაპირო ზოლის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები 2021 წლის ზაფხულში დაიწყო, რისთვისაც 8 100 100 ლარი დაიხარჯა.

- სასიამოვნო სახსრები გვაქვს წელსაც მუნიციპალიტეტში, სრულიად, ახალი, მოსახლეობისთვის, გასართობი სივრცე მოეწყო. მსგავსი ინფრასტრუქტურა ამ დრომდე აქ არ ყოფილა - პირვე-

ლად მოეწყო ბულვარი ამ ტერიტორიაზე და აღსანიშნავია, რომ ადგილობრივებისთვის და სტუმრებისთვის იქნება კიდევ ერთი ლოკაცია, სადაც ისინი დასვენებას შეძლებენ. როგორც ხედავთ, შეიცვალა აქაურობა, გალამაზდა, მეტი სიცოცხლე მიეცა, ყველაფერი კი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, - განაცხადა ქობულეთის მერმა ლევან ზოიძემ.

- საერთო ჯამში 8-კილომეტრიანი ბულვარი, ტურისტული თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს ქალაქის და, ზოგადად, რეგიონის განვითარებას, - ასე შეაფასა სახსრები აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძემ. მისივე თქმით, მოწესრიგებული სანაპირო ზოლი უმნიშვნელოვანესია ტურისტული თვალსაზრისით.

- მუნიციპალიტეტში მთლიანად სანაპირო ზოლის მოწესრიგება იგეგმება და ეს გაწერილია პროგრამების მიხედვით. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს როგორც აჭარის, ისე - ცენტრალური მთავრობის, ამიტომაც ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება, - გვითხრა თინათინ ზოიძემ.

ტერიტორია ძველი ბულვარის გაგრძელებაა. აღინიშნავს, რეკრეაციული და კომერციული ზონების გარდა, მოეწყო ქვიშის ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები. ძველ ბულვართან

დასაკავშირებლად აშენდა საფეხმავლო ხიდი. ფესტივალზე და საბავშვო ღონისძიებებზე დასწრების მსურველებისთვის, კონკრეტულ საათებში, ქობულეთი-ბათუმის მიმართულებით უფასო ტრანსპორტი მოძრაობდა.

- როგორც მოხუცებს, ძალიან მიხარია ახალი ბულვარის მოწყობა, ტერიტორიაზე არაფერი იყო, ახლა კი ბავშვებისთვის შესანიშნავი ადგილი გვაქვს. არა მხოლოდ ბავშვები, დიდებიც განიტვიტებიან. მოხარულები ვართ ადგილობრივები და დიდი მოლოდინი გვაქვს, რომ მსგავსი სივრცეები მომავალშიც მოეწყობა. უფასო ტრანსპორტითაც ისარგებლებს ჩემმა ნათესავებმა ბათუმთან. კარგია, რომ ბავშვებს, მოზარდებს შენაძლებლობა ეძლევათ ისიამოვნონ ამ სახლით, მათ ნამდვილად სჭირდებათ ახალი გასართობი ლოკაციები, - აღნიშნა „აჭარასთან“ საუბრისას მარიამ მუჟაფანაძემ.

„განახლებული რეგიონების“ 4-წლიანი პროგრამა გასულ წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაიწყო. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტების უშუალო ჩართულობით შეიქმნა. პროგრამის პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულებამ 500 მილიონი ლარი შეადგინა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში უკვე დაიწყო პროგრამის მეორე ეტაპის სამუშაოებიც.

# შეხვედრა - მაჭახელას ადმინისტრაციულ ერთეულში

ნათია იმედაიანი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახელას ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, სოფელ ქედჭედის საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, მერის მოადგილე მირიან კვიციანიძესთან ერთად, თავისუფალ უფროს-

ისტა სახლის ხელმძღვანელმა ასლან ჭანიძემ, შშმ ქალთა ალიანსის ხელმძღვანელმა დეა ერემიშვილმა და „ეკოვიტას“ წარმომადგენელმა ვიტალი კილასონიმ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. მათ მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია სოფლის მეურნეობის,

ტურიზმის და ეკოლოგიის სფეროში არსებულ პროექტებზე. ასევე, საჭიროებისამებრ, სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების წერაში დახმარებას და სხვადასხვა საკითხში კონსულტაციებს დაჰპირდნენ.











# ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი – ბათუმის ტექნოპარკში

ნათია იხუტაშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ინტელექტუალური ცენტრის ხელმძღვანელის კლუბის წევრების მონაწილეობით ინფოტური მოეწყო ბათუმის ტექნოპარკში

ბათუმის ტექნოპარკის სივრცეებში გაეცნენ ახალგაზრდებს იდეების პროტოტიპირებისთვის ახალ დანადგარებზე ვორკაუტი ჩატარებას. გაიმართა საინტერესო დისკუსია მომავალი პროფესიების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების თემაზე. ტექნოპარკის თანამშრომლებმა ახალგაზრდებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სერვისების და მათთან არსებული თანამედროვე ტექნიკის გამოყენებასა და დანიშნულებაზე.

ინფოტური ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრი 45 ახალგაზრდა მონაწილეობდა.



# რა დარღვევისთვის ზრდის ჯარიმას შინაგან საქმეთა სამინისტრო?

ნათია იხუტაშვილი 555 18 48 88

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, „აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები შეიმუშავა, რომლებიც ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას

კანონპროექტის თანახმად, აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსაზღვრულია ცვლილებები, კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დამუქებული მძღობის სატრანსპორტო საშუალების მართვა, 50 ლარის ნაცვლად, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. დასჯადი ხდება ე.წ. დრიფტი, რაც გულისხმობს ავტომობილის განზრახ მოცურებას/მოსრიალებას ან/და მოცურებით წრითურ ბრუნვის განხორციელებას. სანქციად წესდება ჯარიმა 300 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 30 ქულით შემცირება. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, თუ ე.წ. დრიფტს მოჰყვება ზიანი. აღნიშნული გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 35-ით შემცირებას.

დასჯადი ხდება ჩამოწერის შედეგად აღრიცხვიდან მოხსნილი სატრანსპორტო საშუალების მართვა. აღნიშნულისთვის წესდება ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით, ასევე, მართვის მოწმობის ქულები 30-ით შემცირდება. შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების და/ან კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალურ



როი აღჭურვილობის და შეფერილობის ავტომანქანით გაცვლების გარეშე არაგაბარითული სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობისთვის სანქცია, ნაცვლად 100 ლარისა, იქნება ჯარიმა 1 000 ლარი, ხოლო თუ აღნიშნულ სამართალდარღვევას მოჰყვება ზიანი, 250 ლარის ნაცვლად, დაწესდება ჯარიმა 2 000 ლარი. სატრანსპორტო საშუალების მძღობის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, 150 ლარის ნაცვლად, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. დასჯადი ხდება ისეთი სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს. სანქციის სახედ წესდება ჯარიმა 100 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 10-ით შემცირება.

# თბილისი-ბათუმის მატარებლით მგზავრობა გაქვირდა

ნათია იხუტაშვილი 555 18 48 88

25 ივლისიდან მატარებლით მგზავრობის დირექტული შეიცვალა: მთელი კლასი 34 ლარი გახდა, პირველი - 74 ლარი, ბიზნესკლასი კი 124 ლარი. ამ დრომდე ბათუმი-თბილისის სამგზავრო მატარებლის მთელი კლასით მგზავრობა 25 ლარი ღირდა

„ტარიფის ზრდის რიგ ობიექტურ მიზეზებს წარმოადგენს ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილი ელექტროენერჯის, მატარებლების მოვლა-შენახვის, მასალების და სხვა ხარჯები. სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ წლების განმავლობაში არ განხორციელებულა ტარიფის ცვლილება და კომპანია საკუთარი სახსრებით ახორციელებდა სამგზავრო გადაყვანების სუბსიდირებას. აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფები იზრდებოდა სისტემატურად“, - აღნიშნულია „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ ძალაში რჩება ყველა შეღავათი სტუდენტებისთვის, ომის ვეტერანებისა და რკინიგზელებისთვის. ასევე, მოქმედებს საბავშვო



ტარიფი (50%-იანი) - 10 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყველა კატეგორიის ადგილებზე სამგზავრო მატარებლებში. 5 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი იმგზავრებს უფასოდ მგზავრთან ერთად, თუ იგი არ დაიცავს ცალკე ადგილს.

# ბავშვები - ციფრულ სამყაროში

მთავარი კოლაჟი 593 73 45 74

ალარაფის გვიგების, როცა ბავშვი, რომელსაც ჯერ მეტყველება არ დაუწყია, შესანიშნავად «ერთობა» მობილური ტელეფონით, რომ აღარაფერი ვთქვათ ცოტათი მოზრდილებზე. ეს ნაშრომად გვადიზიანებს, უარს ვუთხრებთ მობილურების თხოვრებზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პატარის ასეთი დაინტერესება «რთული» საგნით, მაგრამ ადრე თუ გვიან მისთვის მობილური ტელეფონის ყიდვა გარდაუვალი გახდება

როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად დაიწყებს სკოლაში თუ სხვადასხვა წრეზე სიარულს, სოციალურ ქსელში მეგობრებთან კონტაქტი მისთვის მნიშვნელოვანი გახდება, ბავშვისთვის მობილური ტელეფონის ყიდვის აუცილებლობა შეგვეჩვენება. აი, მაშინ უნდა ბავშვი თავსატეხი მშობელს - რა ასაკში, როგორი ტელეფონი ვუყიდოთ? დავუწესოთ გამოყენების ლიმიტი? როგორი უნდა იყოს ბავშვის მიერ ტელეფონის მოხმარების ინტენსიობა?

გავითვალისწინოთ შემდეგი: როცა ტელეფონს ვარჩევთ შვილისთვის, უნდა ვიცოდეთ, როგორი მეგობრები ჰყავს, ისინი თუ სარგებლობენ სოციალური მედიის აპლიკაციებით, მაშინ შვილსაც სმარტფონის ფუნქციების მქონე მობილური უნდა შევუძინოთ, რომ მან საჭირო პლატფორმების გამოყენება შეძლოს მეგობრებთან კონტაქტისას.

რაც შეეხება ასაკს, აქ უფრო მნიშვნელოვანია ბავშვის პასუხისმგებლობის დონე საკუთარი ნივთების მოვლის მიმართ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვი შესაძლოა ცდუნებას აპყვეს თამაშის დროს, მეტი სიცოცხლის ყიდვა მოუნდეს და შედეგზე არც დაფიქრდეს, ამიტომ მის ექაუნთს ბარათი არ უნდა მივებათ. სანამ ბავშვს სმარტფონს შევუძენთ, უნდა დავარწმუნდეთ, რომ კიბერბულინგთან გამკლავების უნარი გააჩნია, მანქანის, დაშინების მსხვერპლი არ გახდება, არ გააზიარებს სენსიტიურ ინფორმაციას, არ დაეკონტაქტება უცხო პირთაგან, განსაკუთრებით ზრდასრულებს და ა. შ.

ასევე, მშობელმა უნდა გაარკვიოს, რამდენად მიჯაჭვულია კომპიუტერს, სასკოლო დავალებების შესრულების შემდეგ რამდენ დროს ატარებს ეკრანთან? თუ ვერ ელევ კომპიუტერს, მაშინ კომპიუტერთან გასატარებელი დროის ლიმიტი უნდა დავუწესოთ და მისი დაცვის შემთხვევაში შევუძინოთ სმარტფონი.

თუ ბავშვი ჯერ მზად არ არის სმარტფონით სწორად სარგებლობისთვის, უნდა შევუძინოთ ტელეფონი, რომელსაც მხოლოდ დარეკვის და SMS - ფუნქციები აქვს. არსებობს ისეთი მოდელბიც, რომლებიც ბავშვის ადგილმდებარეობისთვის თვლის მიდევნების საშუალებასაც იძლევა და SOS-ლილაკიც აქვს აუცილებლობის დროს გამოსაყენებლად. მსგავსი მოდელბი შემომავალი და გამავალი ზარების კონტროლის საშუალებასაც იძლევა და ტექსტური შეტყობინებების წაკითხვისასაც.



თუ დადგა დრო სმარტფონის შეძენის, სანამ მობილურს ბავშვს სრულ მფლობელობაში გადასცემთ, ჩამოართვით პირობები:

ახსენით, რომ ტელეფონის მიღებისთვის ის თანახმა უნდა იყოს, მშობლებმა იცოდეს მისი პაროლი, ჩამოართმევთ გაჯეტს, თუ ის არ დაგემორჩილებათ;

ტელეფონის, კომპიუტერის მოხმარების დროის ლიმიტის დაცვა ბავშვისთვის აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს;

ახსენით, რა მოჰყვება ტელეფონის დაკარგვას, დაუდევრობის გამო მის დაზიანებას - უფრო დაბალი კლასისას უყიდეთ, ისევე ისეთივეს თუ საერთოდ უტელეფონოდ დარჩება;

გამოევიტ დრო, როდესაც ტელეფონის ხელში ალბა აკრძალული ექნება (მაგ. ოჯახური სადილი, მეცადინეობის საათები, ძილისწინა პერიოდი და ა. შ.); აკონტროლეთ ბავშვის სოციალური სივრცე. მშობლებს აქვთ ამის უფლება მანამდე, სანამ შვილი ზრდასრულ ასაკს მიაღწევს. ამით მისი უფლებები არ შეილახება. მაგრამ კონტროლი ფარული არ უნდა იყოს, ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ თქვენ თვალყურს ადევნებთ, რათა კიბერბულინგის მსხვერპლი არ გახდეს.

ისიც უნდა გავსოვდეს, რომ 10-13 წლის ასაკში ბავშვები სოციალურ მედიამში შედმეტად აქტიურები არიან, რაც იწვევს მათ ჩამოშორებას რეალურ სამყაროსგან, მათ ირგვლივ მყოფი ადამიანებისგან, რომლებიც მათი ასაკის არ არიან. მოზარდების ინტერესების სფერო ვიწროვდება, ინტერნეტსივრცით შემოიფარგლება და ოჯახის წევრების, ახლობლების, მათზე უფროსი ადამიანების ცხოვრება მათთვის უინტერესო ხდება, იკლბს ემპათიის განცდას.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ტელეფონებთან, კომპიუტერებთან, ტელევიზორებთან მიჯაჭვულ ბავშვებს როცა ჩამოართვეს ტექნიკა, ისინი აგრესიული გახდნენ, აღნიშნეს, რომ ერთი კვირით მათ გარეშე ყოფნას ამდენივე ხნით საკმლის გარეშე ყოფნა ერივნათ.

ფსიქოლოგები ერიდებიან ამ პრობლემისთვის «დამოკიდებულების» დარქმევას, მაგრამ ფაქტები მიგვაჩვენებს, რომ კონტროლი აუცილებელია, რათა ბავშვებს, განსაკუთრებით მოზარდ ასაკში, თავიდან ავაცილოთ დეპრესია და ამ ასაკისთვის დამახასიათებელი კიდევ სხვა მრავალი პრობლემა.

<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>მამუკა ბერიძე</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ სომარიძე</b></p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p><b>გამომცემი - შპს</b></p> <p>«ბაზპიი აპარა ლა ალპარია»</p> <p><b>აოღიბრაზიული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი»</b></p> <p><b>მის: ქ. თბილისი, ე. ბადაშვილის ქ. №3.</b></p>	<p><b>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლაშვილის ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>ანიჭო და დააბადონდა</b></p> <p><b>ბათუმი აბარისა კომპ. ცენტრი</b></p> <p><b>დასაბავშვო ხელმოწერილია 26/07/22, 21 წლ. სტ.</b></p>
---	---	---	---	---

